



ვათარნათა რაზიონალი ასოციაციის საინფორმაციო ცნობარი



იხარათხი ვათარნათა რაზიონალი ასოციაცია დაფუძნდა



2014 წლის აპრილში, აშშ-ს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის, ცხოველთა ჯანმრთელობის პროგრამის მოქმედების არეალი გაფართოვდა და პარტნიორ რეგიონებს, (კახეთს, სამცხე-ჯავახეთს, შიდა ქართლს, აჭარასა და სამეგრელოს) იმერეთის ვეტერინართა

რეგიონული ასოციაცია შეემატა.

ცხოველთა ჯანმრთელობის პროგრამის ადგილობრივი განმახორციელებელია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა. მისი მხარდაჭერით, 2014 ივლისში ოფიციალურად დარეგისტრირდა იმერეთის ვეტერინართა რეგიონული ასოციაცია, რომელიც 40-მდე უკრძო პრაქტიკის მქონე ვეტერინარს აერთიანებს. ორგანიზაცია აიწიხა თავმჯდომარე - ზვიად ნატრიამვილი და გამგეობა, დაამტკიცა წესდება და გახსნა საბანკო ანგარიში.

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამამ 2014 წლის ივნისში განახორციელა ვეტერინარების განათლების საჭიროების კვლევა, განისაზღვრა სატრენინგო თემები. ამის შემდეგაც დაიწყო ვეტერინართა გადამზადების ინტენსიური ტრენინგები.

პროგრამის ფარგლებში, ტექნიკური ტრენინგების მეშვეობით ვეტერინართა რეგიონული ასოციაციის წევრები აიმაღლებენ პროფესიულ უკალიფიკაციას, მიიღებენ კონსულტაციებს ვეტერინარული მომსახურების

ორგანიზებული მომსახურების მიწოდების შესახებ, აღიჭურვებიან სპეციალური უნიფორმებით, შეძლებენ ფერმერებთან სწორი და ეფექტური კომუნიკაციის დამყარებას.

უკროკავშირთა ასოციაციის ხელმოწერა

ექვსწლიანი მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელების შედეგად, 2014 წლის ივნისში საქართველომ ხელი მოაწერა უკროკავშირთა ასოციაციის ხელშეკრულებასა და ტრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას, რამაც ქვეყანა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. საქართველოს ინტეგრაცია ევროპულ სივრცეში მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ტრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების მოთხოვნათა შესრულებაზე.



აღნიშნული შეთანხმების მნიშვნელოვანი ნაწილი სანიტარიული და ფიტოსანიტარიული კუთხით განსახორციელებელ ღონისძიებებს ეხება. დაგეგმილი რეფორმები ხელს შეუწყობს საქართველოში, ევროპული ღონის სურსათის უვნებლობისა და ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის სისტემების შექმნას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ქართული სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიული პროდუქციის თავისუფალ განთავსებას ევროკავშირის ბაზარზე. სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სისტემის გაუმჯობესება და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება დაიცავს ქვეყანას მავნე ორგანიზმების შემოჭრისა და გავრცელებისგან, რაც უზრუნველყოფს ვეტერინარულ კეთილსამედლობას. ქართველ მწარმოებლებს კი საშუალება მიეცემათ, განახორციელონ ცხოველური და მცენარეული წარმოშობის პროდუქციის ექსპორტი ევროკავშირის ბაზარზე.

გაყვნილი მახეზა

2014 წლის 26-27 ივნისს კახეთის ვეტერინართა რეგიონულ ასოციაციას შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ვეტერინართა რეგიონული ასოციაციის წარმომადგენლები ეწვივნენ. ჯაჭრეთის პროფესიულ სასწავლებელში გაიმართა შეხვედრა სამი ასოციაციის წევრებს შორის, სადაც მხარეებმა ერთმანეთს საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს და იმსჯელეს პრობლემების ერთობლივად მოგვარების გზებზე.

ვეტერინარებმა ასევე განიხილეს სერვის პაკეტებთან და რეგიონებისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ დაავადებებთან დაკავშირებული საკითხები. მათ ცხვრის შემკრები მოწყობილობა "ალიგატორი" მოინახულეს.

ვიზიტის ფარგლებში, ასოციაციის ვეტერინარებს საშუალება მიეცათ შეხვედროდნენ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლებსა და სურსათის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივ წარმომადგენლებს.

www.ZOOPHACO.com
ZOOPHA PARNIAN PARS

ZOOPHA

ვეტერინარული პრაქტიკის ხელშეწყობის, ახალი მეთოდების დანერგვის, პროდუქტების შექმნის და კვალიფიციური ვეტერინარების მიერ ამ მეთოდების პრაქტიკაში გამოყენების მიზნით, 2007 წელს ირანში კომპანია Zoopha დაარსდა.



კომპანია იყო პირველი, რომელმაც ირანის ბაზარზე ჰიპერტონიული საიმეფიო ხსნარები და ვეტერინარული საქმიანობისთვის მკურნალობის ახალი მეთოდები წარმოადგინა. ქართულ ბაზარზე კომპანია Zoopha-ს წარმოდგენილ პროდუქტებს შორისაა ცხოველთა ინფექციური და არაგადაამდები დაავადებების დროს დამხმარე საინფუზიო საშუალებელი.



ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება

საზოგადოებაში ყირიმ-კონგოს ჰემორაგიულ ცხელებასთან დაკავშირებით გაზრდილი ინტერესის გამო, გთავაზობთ მოკლე ინფორმაციას დაავადების შესახებ. ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება ვირუსული დაავადებაა. იგი ზოონოზური დაავადების ჯგუფს განეკუთვნება (დაავადება რომელიც ცხოველიდან გადაეცემა ადამიანს). დაავადების გამომწვევია იქსოიდის ტიპის ტყიპა. შინაური ცხოველებიდან ვირუსის მატარებელია: მსხვილფეხა პირუტყვი, ცხვარი და თხა. სამცხე-ჯავახეთსა და შიდა ქართლში დაფიქსირებული ადამიანების შემთხვევებიც შინაურ ცხოველთან კონტაქტს უკავშირდება. (ისევე როგორც ადამიანებში, ასევე ცხოველებშიც ვირუსი ვრცელდება დაინფიცირებული ტყიპის კბენისას). ცხოველებში დაავადება ძირითადად უსიმპტომოდ მიმდინარეობს. დაავადების სანინალმდეგო ვაქცინა არ არსებობს. ინფექციის გადაცემის რისკის შემცირების მიზნით, სპეციელისტები გვირჩევენ: 1. ცხოველთან კონტაქტის დროს, ჩავიცვათ თეთრი ფერის დამცავი სამოსი, (ტყიპის ადვილად შესამჩნევად); 2. აუცილებელია გამოვიყენოთ ნებადართული აკარიციდები (ტყიპების სანინალმდეგო ქიმიური საშუალებები); 3. დავიცვათ ცხოველი და მისი სადგომი ჰარაზიტებისგან. გასათვალისწინებელია რომ ტყიპებისაგან ცხოველთა დაცვით შესაძლოა მრავალი დაავადების პრევენცია მოვახდინოთ.

AMC

VRA



კითხვები ვაჭარინარს

რა ფაქტორები მოქმედებს ქრონის ნვალდობის გაზრდაზე?



მსხვილფეხა პირუტყვის წველადობის გაზრდა ფერმერებისათვის აქტუალური საკითხია. საინფორმაციო ცნობარის ამ გამოცემაში შევეცდებით განვმარტოთ ძირითადი ფაქტორები, რომელიც მოქმედებს ცხოველის პროდუქტიულობაზე. წველადობაზე მოქმედი ფაქტორების ყრებითი ფორმულირება შემდეგნაირადაა შესაძლებელი: ცხოველის ჯიბი, რეპროდუქციის უნარი, მაკეობის პერიოდი, ლაქტაციის რიგითობა, გეოგრაფიული მდებარეობა, გარემო პირობები, ცხოველის კვება, წველის სიხშირე, ქრონიკული დაავადებები და სხვა. ამ გამოცემაში ყურადღებას გავამახვილებთ იმ ფაქტორებზე, რომელსაც შესაძლებელია ფერმერი საკუთარი ძალებით გაუმყლავდეს. პირველი რიგში უნდა ვიფიქროთ ცხოველის კვებაზე. ბალანსირებული საკვები რაციონი წველადობის მაქსიმალური მაჩვენებლის წინაპირობაა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტი ყველა ფერმერისთვის ცნობილია, საკვების დაზოგვა ხშირი პრაქტიკაა საქართველოში. გთხოვთ გაითვალისწინოთ, სწორი კვებითი რაციონის მიცემა ცხოველისთვის გადამწყვეტია მინიმუმ მშრალობის პერიოდსა და მოგებიდან 3 თვის განვმავლობაში. შემდეგი საკითხი რაზეც გვინდა ყურადღება გავამახვილოთ არის წველის პროცესი. უმჯობესია, წველის დაწყებისას მოვახდინოთ სარძევე ჯირკვლის (ცურის) მასაჟი და ძალიან ფრთხილად ჩამოვწველოთ რძე 1-5 მოძრაობით. ამ დროს ცენტრალური ნერვული სისტემა სიგნალს გადასცემს ჰიპოფიზს, ეს უკანასკნელი კი სისხლში ოქსიტოცინს გამოყოფს, რაც სარძევე ჯირკვლის უნების შეკუმშვას უწყობს ხელს. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ოქსიტოცინის გამოყოფა სისხლში ხდება სარძევე ჯირკვლის სტიმულაციიდან 60 წამის განმავლობაში და მისი აქტივობა 4-6 წუთამდე მერყეობს. შიშის და მტკივნეული შეგრძნებების დროს ცხოველის ორგანიზმი გამოყოფს ადრენალინს, რომელიც ოქსიტოცინის მოქმედებას ბლოკავს. შესაბამისად ცხოველის მომზადებას, სიფრთხილეს, ცხოველისადმი ფაქიზ მოპყრობას და სარძევე ჯირკვლის სტიმულირებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მაქსიმალური რაოდენობის რძის მისაღებად. აუცილებელია გვახსოვდეს, რომ პროდუქტიულობის ზრდასთან ერთად ცხოველს ეზრდება საკვების მოთხოვნილება.

საქართველოში ნარაოდებიანი ვაჭარინართა რეგიონული ასოციაცია

- მომწოდებელი ასოციაციის პართის ტახტის პირი**
მის: საქართველო, თბილისი, იეთიმ გურჯის 7ბ
ტელ.: (+995) 32 245 75 45
- აჭარა**
მის: ქ. ბათუმი, ტ. აბუსერიძის 29ა.
თავმჯდომარე - ნანა ბალანჩივაძე
ტელ.: 599 57 08 75
- იძარატი**
მის: ქ. ქუთაისი, გოგებაშვილის ქ. 16/18/20
თავმჯდომარე - ზვიად ნატრი-აშვილი, ტელ.: 599 71 20 17

- სააბრელო-ვაშო სპანეთი**
მის: შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სენაკის ფილიალი.
თავმჯდომარე - ბესო გოგოლი
ტელ.: 599 501 807

- სამცხე-ჯავახეთი**
მის: სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ახალციხე თავმჯდომარე - შოთა ყულჯანიშვილი
ტელ.: 551 972 900
- შიდა ქართლი**
მის: სოფელ ფხვენისის სოციო ეკონომიკური ზონა, გორი თავმჯდომარე - არსენ ნოზაძე
ტელ.: 593 735694

- კახეთი**
მის: კაჭრეთის საზოგადოებრივი კოლექტი "ასი" გურჯაანი თავმჯდომარე - აკაკი ელანიძე
ტელ.: 593 609 638